



ფინანსური აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამბკიშე“

სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
ზაზა შეყილაძე

25 იანვარი 2021 წელი

N 3/36

ეგზ. N1

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროს 2019 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის
კონსოლიდირებული ანგარიშგების
ფინანსური აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	3
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	4
	მოსაზრება	6
	1. პირობითი მოსაზრების საფუძვლები	7
	2. მნიშვნელოვანი გარემოებები	15
	3. სხვა გარემოებები	16
	4. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა	18
დანართები	ფინანსური ანგარიშგების ფორმები და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	20
	კონსოლიდირებული ერთეულები	30
	საკონტაქტო ინფორმაცია	31

ტერმინები და შემოკლებები

ახალგორი – სსიპ – ახალგორის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება.

დახმარების ცენტრი – სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი.

დევნილთა სააგენტო – სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო.

დასაქმების სააგენტო – სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო.

ინსტრუქცია – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინსტრუქცია.¹

რეგულირების სააგენტო – სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო.

სამინისტრო – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

სააგენტო – სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო.

საარსებო სააგენტო – სსიპ – საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებული ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში – წინა პერიოდის ფინანსური აუდიტის ანგარიში.

ფონდი – სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების ფონდი.

ცენტრალური აპარატი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი.

ცენტრი – სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

წარდგენის საფუძვლები – ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის შესაფერისი საფუძვლები.

წამლის სააგენტო – სსიპ – წამლის სააგენტო.

¹ კონსოლიდირებული ვერსია (13.06.2019 - 20.02.2020).

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, რომელიც ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში უზრუნველყოფს სახელმწიფო მმართველობისა და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას.

სამინისტროს საქმიანობის სფერო და ამოცანებია:

-) მოსახლეობის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება და საქმიანობის კოორდინაცია, აგრეთვე დევნილთა, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ პირთა (შემდგომში – ეკომიგრანტთა) სოციალური დაცვისა და განსახლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელების კოორდინაცია.
-) დევნილთა, ეკომიგრანტთა და რეინტეგრაციის საკითხების მიმართულებით:
 - ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით, დევნილთა და ეკომიგრანტთა საკითხების რეგულირება;
 - საგანგებო სიტუაციებით (სტიქიური უბედურებები, ეპიდემია და სხვ.) გამოწვეული ეკომიგრაციული ნაკადის აღრიცხვა;
 - საქართველოში ემიგრაციიდან დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეთა რეინტეგრაციის ხელშეწყობა.
-) ჯანმრთელობის დაცვის სფეროში:
 - ინდივიდუალური სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა;
 - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა;
 - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირება.
-) მოსახლეობის სოციალური დაცვის სფეროში:
 - მოსახლეობის მიზნობრივი სოციალური დახმარებით უზრუნველყოფა;
 - კანონმდებლობით განსაზღვრული სოციალური ჯგუფებისათვის შესაბამისი გასაცემლების დადგენილ ვადებში მიწოდების უზრუნველყოფა;
 - ბავშვზე ზრუნვა და მასთან დაკავშირებული საკითხები;
 - ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა.
-) შრომისა და დასაქმების სფეროში:
 - შრომითი ურთიერთობებისა და სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობა;
 - შრომითი მიგრაციის რეგულირება;
 - დასაქმების ხელშეწყობა, არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის საკითხების კოორდინაცია;
 - ორგანიზაცია-დაწესებულებებში შრომის უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების დანერგვისა და შრომითი დისკრიმინაციის შემთხვევების აღმოფხვრის ხელშეწყობა;
 - „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის სახელმწიფო ზედამხედველობა და ამავე კანონით ზედამხედველი ორგანოსათვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.
-) საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა, საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელთა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთა ინტეგრაციის სფეროში – შესაბამის კომპეტენტურ სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა, საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელთა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთა ადგილობრივი ინტეგრაციის პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის, დაზუსტებული ბიუჯეტის და საკასო ხარჯების შესახებ ინფორმაცია² წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:³

ცხრილი N1. დამტკიცებული, დაზუსტებული საბიუჯეტო და საკასო ხარჯი (ათასი ლარი)

დასახელება	დამტკიცებული (1)	დაზუსტებული (2)	საკასო (3)	შესრულება (3/2)
ხარჯები	3,923,665	3,967,481	4,001,402	101%
არაფინანსური აქტივების ზრდა	44,735	45,919	54,030	118%
სულ:	3,968,400	4,013,400	4,055,432	101%

ცხრილი N2. ინფორმაცია ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების გადანაწილების შესახებ (ათასი ლარი)⁴

საბალანსო ერთეულის დასახელება	საკასო ხარჯი	წილი ჯამურ საკასო ხარჯში
ცენტრალური აპარატი	26,897	1%
სააგენტო	3,864,597	95%
ცენტრი	88,426	2%
დახმარების ცენტრი	48,866	1%
ფონდი	7,747	0%
რეგულირების სააგენტო	3,870	0%
საარსებოს სააგენტო	332	0%
დევენილების სააგენტო	14,697	0%
ახალგორი	-	0%
სულ:	4,055,432	100%

² მოცემულია მხოლოდ 27 00 კოდის შესახებ ინფორმაცია.

³ ცხრილი არ მოიცავს საკუთარ სახსრებს, 100%-ზე მეტი შესრულების მაჩვენებელი კი მიღებულია მიზნობრივი გრანტებით.

⁴ ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ის მიხედვით ბიუჯეტიდან დაფინანსება/საკასო ხარჯი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მოსაზრება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სამინისტროს და მის კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულების⁵ (ერთად – ჯგუფის) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, მათთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ დანართებს⁶ მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას, გარდა მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამისა.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის – „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ – აბზაცში აღწერილი საკითხ(ებ)ის გავლენით განპირობებული შედეგების გარდა, სამინისტროს თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სათანადო საფუძვლების⁷ შესაბამისად.

⁵ იხ. დანართი: კონსოლიდირებული ერთეულები.

⁶ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება, დანართები 1-დან 13-ის ჩათვლით.

⁷ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

1. პირობითი მოსაზრების საფუძვლები

1.1 კონსოლიდაცია

კონსოლიდაციის დროს კონტროლირებად ორგანიზაციებს შორის განხორციელებული ოპერაციები მთლიანად უნდა გამოირიცხოს და ანგარიშგება მომზადდეს ამ ოპერაციების გარეშე.⁸ შესაბამისი კონტროლის მექანიზმების არარსებობის გამო, ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციისას, სამინისტროს მიერ არასრულადაა ელიმინირებული სისტემაში შემავალ ერთეულებს შორის ოპერაციები, კერძოდ, შიდა ჯგუფური ოპერაციების თანხა შეადგენდა – 101,678,438 ლარს, საიდანაც ელიმინირებულია მხოლოდ 62,893,554 ლარი.⁹

შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა N2) გაზრდილია შემოსავალი და ხარჯი 38,784,884 ლარით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში წინა წლის ოპერაციებში ნაცვლად სამინისტროს სისტემისა (ჯგუფის), ასახულია მხოლოდ ცენტრალური აპარატის 2018 წლის ოპერაციები.

შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა N2) შემცირებულია წინა წლის ოპერაციები, კერძოდ: ბიუჯეტიდან დაფინანსება – 3,654,829,688 ლარით, შემოსავლები – 203,886,571 ლარით და ხარჯები – 4,248,650,557 ლარით.

1.2 მოკლევადიანი მოთხოვნები

სამინისტროს მოკლევადიანი მოთხოვნების სტრუქტურა წარმოდგენილია ქვემოთ, ცხრილის სახით:

ცხრილი N3. ინფორმაცია სამინისტროს მოკლევადიანი მოთხოვნების შესახებ

დასახელება	ანგარიში	თანხა	თანხა
		31.12.2019	31.12.2018
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1300	49,956,370	81,233,950
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1400	84,286,291	112,520,441

მოკლევადიანი აქტივების ძირითად ნაწილს შეადგენს სააგენტოს მიერ სამედიცინო დაწესებულებებისთვის დაკისრებული საჯარიმო სანქციებით და მიმწოდებელ ორგანიზაციებზე წინასწარი ანგარიშსწორებით გადახდილი თანხებით წარმოშობილი მოთხოვნები.

შემცირებული მოკლევადიანი მოთხოვნები

სააგენტოს:

- აღრიცხული აქვს საგადასახადო აქტივების ნაშთი, რომელიც 64,257 ლარით ნაკლებია შემოსავლების სამსახურის მიხედვით გადამხდელის პირადი ბარათის მონაცემებით არსებულ ნაშთზე.
- არ აქვს აღრიცხული 2019 წელს შეცდომით გადარიცხული თანხებით წარმოშობილი მოთხოვნები, სულ 10,298 ლარი, რომელიც აღდგენილია ბიუჯეტში 2020 წელს.

ცენტრალურ აპარატს:

- კონტრაქტორი ორგანიზაციის მიმართ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების საფუძველზე დაკისრებული 972,782 ლარის ჯარიმა, ნაცვლად მოკლევადიანი აქტივებისა, აღრიცხული აქვს პირობითი აქტივების ანგარიშზე.

⁸ ინსტრუქციის მუხლი 39, პუნქტი 30.

⁹ გამონაკლისის გამოყენების შესაძლებლობა არ დასტურდება არც განმარტებით შენიშვნებში და არც სხვა წყაროებით.

-) არ აქვს აღრიცხული 2 ორგანიზაციის მიმართ დაკისრებული პირგასამტეხლო, სულ 16,900 ლარი.

დეფნილთა სააგენტოს:

-) არ აქვს აღრიცხული საჯარიმო სანქციები 2 ორგანიზაციის მიმართ, რომელთაც დარღვეული აქვთ შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადები, რაც ხელშეკრულების პირობის თანახმად ითვალისწინებდა პირგასამტეხლოს დაკისრებას, სულ – 997,453 ლარს.

შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა N1) მოკლევადიანი აქტივების ნაშთი შემცირებულია 2,061,690 ლარით.¹⁰

მოთხოვნების აღრიცხვებზე შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივების (რესურსების) შესახებ ინფორმაცია არასრულად, არასწორად არის წარმოდგენილი, რაც ზრდის ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მხრიდან ფისკალური პარამეტრების დაგეგმვის პროცესში შეუსაბამო გადაწყვეტილებების მიღების რისკებს.

გაზრდილი მოკლევადიანი სააგენტოს: მოთხოვნები

-) აღრიცხული აქვს გაუქმებული სსიპ-ისგან გადმოცემული 203,945 ლარის ისეთი დებიტორული დავალიანება, რომლის წარმოშობის დოკუმენტაციას არ ფლობს. წარმოდგენილია მხოლოდ ორგანიზაციებთან დებიტორული დავალიანების დადასტურებისთვის გაგზავნილი წერილები, რომელთა პასუხად, დავალიანება მათთან არ ირიცხება ან დებიტორი ორგანიზაცია ლიკვიდირებულია და არ ჰყავს სამართალმემკვიდრე. აღნიშნული საკითხი ასევე ასახული იყო წინა პერიოდის ფინანსური აუდიტის ანგარიშში.
-) რევიზიის აქტის საფუძველზე დაკისრებული საჯარიმო სანქციების აღრიცხვისას არ არის გათვალისწინებული 2019 წლებში აღნიშნულ აქტებში შესული ცვლილებები, კერძოდ, აქტის ბათილად ცნობა და კორექტირება. ასევე კონტროლის აქტების საფუძველზე დაკისრებული დავალიანება აღრიცხულია ორჯერ. შედეგად, დებიტორული დავალიანება გაზრდილია სულ 39,222 ლარით.

ცენტრალურ აპარატს:

-) არ აქვს შემცირებული „მოთხოვნები წინასწარი ანგარიშსწორებით“ 2019 წელს შესრულებული სამუშაოს ღირებულებით, სულ 83,125 ლარი.
-) აღრიცხული აქვს საგადასახადო აქტივების ნაშთი, რომელიც 172,497 ლარით მეტია შემოსავლების სამსახურის მიხედვით გადამხდელის პირადი ბარათის მონაცემებით არსებულ ნაშთზე.

შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა N1) მოკლევადიანი აქტივების საბოლოო ნაშთი გაზრდილია 498,789 ლარით.¹¹

ცენტრალური აპარატსა და სააგენტოში ვერ დადასტურდა 30,036,747 ლარის¹² დებიტორული დავალიანების არსებობა და სისწორე, კერძოდ:

-) სააგენტოში დავალიანების დიდი ნაწილი წარმოქმნილია სახელმწიფო პროგრამების ზედამხედველობის ფარგლებში დაკისრებული საჯარიმო სანქციებით, რომელთაც ორგანიზაციები რიცხავენ ხაზინის ერთიან ანგარიშზე. იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციას საგადახდო დავალებაში არ აქვს მითითებული დავალიანების წარმოქმნის საფუძველი ან არ არის საგადახდო დავალება წარმოდგენილი სააგენტოში, ხაზინის

¹⁰ ინსტრუქციის მუხლი 54, პუნქტი 1.

¹¹ ინსტრუქციის მუხლი 3, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „გ“, მუხლი 54, პუნქტი 1.

¹² ცენტრალური აპარატი - 1,705,568 ლარი და სააგენტო - 28,331,179 ლარი.

ამონაწერით ვერ ხერხდება იმ დავალიანების იდენტიფიცირება, რომლის დაფარვის მიზნითაც განხორციელდა გადახდა. ამასთანავე, სააგენტოს განმარტებით აღრიცხულია 2015 წლამდე წარმოშობილი 130 სამედიცინო დაწესებულების 5,000,000 ლარის დებიტორული დავალიანება, რომელთა დადასტურებაც ვერ ხერხდება, რადგან 2015 წლამდე არ გამოიყენებოდა ბუღალტრული პროგრამა და ვერ მოიძებნა აღნიშნული დავალიანებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

) **ცენტრალურ აპარატში** აღრიცხული დავალიანებების დიდი წილი წარმოშობილია 2017 წლამდე, რომლებზეც არ არის განხორციელებული ინვენტარიზაცია და არ არის გაფორმებული შედარების აქტები.

ცენტრალური აპარატის და სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში რეფერალური მომსახურების პროგრამის ფარგლებში აღრიცხულია 2006 წლიდან 2019 წლამდე პერიოდში 1,324 ფიზიკური პირის¹³ მიმართ წარმოშობილი დებიტორული დავალიანება, სულ – 18,644,328 ლარი.¹⁴ სამინისტროს განმარტებით, დებიტორული დავალიანება აღიარდება თანხის გადარიცხვის მომენტში და მისი ჩამოწერის საფუძველი არის ბენეფიციარის ან/და მისი ნდობით აღჭურვილი პირის მიერ წარმოდგენილი სამედიცინო მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. არ არის შეფასებული დებიტორული დავალიანება ინსტრუქციის და ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესაბამისად.¹⁵ ამასთანავე, ვერ მოხერხდა ფიზიკურ პირებთან დებიტორული დავალიანების დადასტურება, რაც ასახული იყო წინა პერიოდის ფინანსური აუდიტის ანგარიშში.

სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხულია 2010 წლამდე 6 პირის მიმართ წარმოშობილი 199,530 ლარის დებიტორული დავალიანება, რომლის წარმოშობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას სააგენტო არ ფლობს. ამასთანავე, ნაშთების რეალურობის დადგენის მიზნით, ორგანიზაციებთან არ გაფორმებულა ურთიერთშედარების აქტები, რაც ასახული იყო წინა პერიოდის ფინანსური აუდიტის ანგარიშში.

1.3 გრძელვადიანი აქტივები

სამინისტროს გრძელვადიანი აქტივების სტრუქტურა წარმოდგენილია ქვემოთ, ცხრილის სახით:

ცხრილი N4. ინფორმაცია სამინისტროს გრძელვადიანი აქტივების შესახებ

დასახელება	ანგარიში	თანხა 31.12.2019	თანხა 31.12.2018
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	1500	4,844,823	4,849,777
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	1,770,836	1,688,894
ძირითადი აქტივები	2100	454,609,154	474,320,490
არაწარმოებული აქტივები	2400	22,945,251	22,904,076

სამინისტროს გრძელვადიანი აქტივების ძირითად ნაწილს შეადგენს ცენტრალური აპარატის და დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსურ ანგარიშგებებში აღრიცხული შენობები და დაუმთავრებელი აქტივები, ასევე ცენტრალური აპარატის მიერ 85 სამედიცინო დაწესებულების შეუფერხებელი

¹³ ცენტრალურ აპარატში 2006-2010 წლამდე პერიოდში - 100 ფიზიკური პირი და სააგენტოში, 2010 წლიდან 2019 წლამდე პერიოდში - 1,224 ფიზიკური პირი.

¹⁴ ცენტრალურ აპარატში - 2,024,027 ლარი, სააგენტოში - 16,620,302 ლარი.

¹⁵ ინსტრუქციის მუხლი 54, პუნქტი 37; საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N605, მუხლი 11, პუნქტი 6.

ფუნქციონირების საჭირო ღონისძიებების დაფინანსების მიზნით 2014 წელს გაცემული 20-წლიანი სესხები.

დევნილთა სააგენტოს და ცენტრალური აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი აქტივების ანგარიშზე აღრიცხულია 16,497,589 ლარის¹⁶ ღირებულების საცხოვრებელი სახლები, რომლებზეც სამინისტრო ფაქტობრივ კონტროლს არ ფლობს და საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია დევნილ და ეკომიგრანტ ბენეფიციარებზე.

ცენტრალურ აპარატს 2019 წლის 27 დეკემბერს მიღებული აქვს 34,957 ევროს ღირებულების არამატერიალური აქტივი, რომელიც მიღების დღის კურსის ნაცვლად აღიარებულია გადახდის დღეს მოქმედი კურსით, რის გამოც გაზრდილია არამატერიალური აქტივები 10,109 ლარით.

შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა N1) ძირითადი აქტივების საბოლოო ნაშთი გაზრდილია 16,507,698 ლარით.¹⁷

ცენტრალური აპარატის დაუმთავრებელი აქტივების ანგარიშზე აღრიცხული 3,634,200 ლარი წარმოადგენს საგრანტო პროექტის ფარგლებში, დონორის მიერ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში – „არაფინანსური აქტივების“ მუხლში ასახულ თანხას, რომლის დამადასტურებელ დოკუმენტაციას სამინისტრო სრულად არ ფლობს.

სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული **სსიპ – ახალგორის ბავშვთა საადმინისტრაციო დაწესებულების** ბალანსზე აღრიცხულია 148,213 ლარის ღირებულების საცხოვრებელი შენობები, რომლებიც მდებარეობს საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე, რის გამოც ვერ ჩატარდა სათანადო აუდიტორული პროცედურები.

1.4 ვალდებულებები

სამინისტროს ვალდებულებების სტრუქტურა წარმოდგენილია ქვემოთ, ცხრილის სახით:

ცხრილი N5. ინფორმაცია სამინისტროს ვალდებულებების შესახებ

დასახელება	ანგარიში	თანხა	თანხა
		31.12.2019	31.12.2018
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100	43,396	42,196
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3200	32,794,373	42,165,941
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3300	2,396,943	2,396,943

ვალდებულებების ძირითადი ნაწილია ცენტრალური აპარატისა და სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული გაუქმებული სსიპ-ების შედეგად გადმოცემული და საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში წარმოქმნილი დავალიანებები.

ცენტრალურ აპარატს გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებების და კრედიტორული დავალიანებების ანგარიშზე აღრიცხული აქვს 2,396,943 ლარი, რომლის გადახდის ვადა იყო 2018 წლის 31 დეკემბერი. აღნიშნული დავალიანება არ არის დაფარული და წარმოადგენს მიმდინარე ვალდებულებას.

¹⁶ დევნილთა სააგენტო - 4,630,436 ლარი და ცენტრალური აპარატი - 11,867,153 ლარი.

¹⁷ ინსტრუქციის მუხლი 3, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „გ“.

შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა N1) 2,396,943 ლარის ვალდებულება მოკლევადიანის ნაცვლად კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი.¹⁸

ცენტრალური აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხულია 2004 წლიდან 2010 წლამდე წარმოქმნილი 4,413,295 ლარის კრედიტორული დავალიანება, რომლის წარმოშობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას სამინისტრო არ ფლობს ან არ არის იდენტიფიცირებადი კონკრეტული კრედიტორების დონეზე, რაც ასახული იყო წინა პერიოდის ფინანსური აუდიტის ანგარიშში.

ცენტრალურ აპარატში დავალიანების ნაშთების დასადასტურებლად კრედიტორთა რეესტრიდან შეირჩა 34 ორგანიზაცია, რომელთა მიმართ დავალიანება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 9,452,843 ლარს. დავალიანებების ხანდაზმულობის მოტივით შერჩეულ ორგანიზაციებთან არ არის გაგზავნილი დასტურის წერილები. აუდიტის ჯგუფის მიერ ალტერნატიული პროცედურებით¹⁹ დადასტურებულია 3 ორგანიზაციის დავალიანება – 2,518,252 ლარი. აღრიცხული დავალიანებების დიდი წილი წარმოშობილია 2017 წლამდე, რომლებზეც არ არის განხორციელებული ინვენტარიზაცია და არ არის გაფორმებული შედარების აქტები.

1.5 შემოსავალი და ხარჯი

ცენტრალურ აპარატს სხვა ხარჯების ანგარიშზე აღრიცხული აქვს 2,422,800 ლარი. აღნიშნული არის საგრანტო პროექტის ფარგლებში, დონორის მიერ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის „სხვა ხარჯების“ მუხლში ასახული თანხა, რომლის დამადასტურებელ დოკუმენტაციას სამინისტრო სრულად არ ფლობს.

დევნილთა სააგენტოს და **ცენტრალურ აპარატს** იმ ძირითად აქტივებზე, რომლებზეც საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია დევნილ და ეკომიგრანტ ბენეფიციარებზე (იხ. გრძელვადიანი აქტივების ნაწილი), 2019 წელს დარიცხულია ცვეთა, რომელიც შეადგენს 168,005 ლარს.²⁰

სააგენტოს „არასაცხოვრებელი შენობების“ ანგარიშზე აღრიცხულ აქტივებზე დარიცხულია ცვეთა 1,7%-იანი განაკვეთით, ნაცვლად 1%-ისა. შედეგად, გაზრდილია „ძირითადი კაპიტალის მოხმარების ხარჯის“ მუხლი 136,521 ლარით.

შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა N2) გაზრდილია „ძირითადი კაპიტალის მოხმარების ხარჯის“ მუხლი 304,526 ლარით.²¹

სააგენტოს:

-) წინა წლებში გადარიცხული და ფაქტობრივ ხარჯში აღიარებული თანხები, რომლებიც მიმდინარე პერიოდში კლასიფიცირებულია როგორც აღსადგენი თანხა, აღრიცხულია მოთხოვნად, მოკორესპონდენტო ანგარიშად კი, გამოყენებულია ხარჯის ანგარიში – სულ 8,049,875 ლარი. აღნიშნული თანხებით შემცირებულია ფაქტობრივი ხარჯი და გაზრდილია წმინდა ღირებულების ანგარიში.
-) 6 ორგანიზაციაზე გადარიცხულ თანხებსა და მიღება-ჩაბარების თანხებს შორის, კურსთაშორისი სხვაობის შედეგად მიღებული შემოსავალი

¹⁸ ინსტრუქციის მუხლი 34, პუნქტი 21.

¹⁹ დოკუმენტური დადასტურება.

²⁰ დევნილთა სააგენტო - 46,772 ლარი და ცენტრალური აპარატი - 121,233 ლარი.

²¹ ინსტრუქციის მუხლი 151, პუნქტი 24.

ფაქტობრივად შეადგენს 100,399 ლარს, ხოლო ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 16,278 ლარი.

- 6 ორგანიზაციაზე გადარიცხულ თანხებსა და მიღება-ჩაბარების თანხებს შორის, კურსთაშორისი სხვაობის შედეგად მიღებული ხარჯი ფაქტობრივად შეადგენს 121,320 ლარს, ხოლო ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 59,943 ლარი.
- საჯარიმო სანქციები აღრიცხული აქვს მოთხოვნების ანგარიშზე, რომლის მოკორესპონდენტო ანგარიში ნაცვლად შემოსავლისა, არის ხარჯი, სულ 76,629 ლარი, ფიზიკური პირის კომპენსაციის თანხები კი, აღრიცხული აქვს ვალდებულების ანგარიშზე, რომლის მოკორესპონდენტო ანგარიში ნაცვლად ხარჯისა, არის მოთხოვნის ანგარიში, სულ – 10,808 ლარი.

შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა N4) შემცირებულია არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი, შესაბამისად, 84,121 ლარით და 61,377 ლარით.²² ასევე შემცირებულია (ფორმა N2) სხვა შემოსავალი და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი, შესაბამისად, 76,629 ლარით²³ და 8,060,683 ლარით.²⁴

1.6 სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

სამინისტროს სააღრიცხვო პოლიტიკაში არ არის ასახული სპეციფიკურ ოპერაციებთან დაკავშირებული შიდა აღრიცხვის/ანგარიშგების წესები, ბუღალტრული აღრიცხვის ფორმები, მეთოდური მითითებები. აღნიშნული ასევე არ არის წარმოდგენილი ახსნა-განმარტებითი შენიშვნებში და არ არის გამჟღავნებული აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვისათვის გამოყენებული შეფასების საფუძვლები.²⁵

სამინისტროს ახსნა-განმარტებითი შენიშვნებში არ აქვს ასახული:

- ინსტრუქციის²⁶ შესაბამისად დადგენილი ინფორმაცია, რომელიც ეხება დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების, უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის და კონტროლის შესახებ განმარტებით შენიშვნებს, კერძოდ, უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის შესახებ ინფორმაციას, როგორცაა, მთლიანი ანაზღაურება, სესხები და ა.შ.
- სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც დაკავშირებულია საჯარიმო სანქციების აღრიცხვასთან, კერძოდ, სამინისტროს დაქვემდებარებული ორგანიზაციების ნაწილი გასაჩივრების შემთხვევაში, საჯარიმო სანქციებს აღრიცხავს პირობით აქტივებში, ხოლო სააგენტოს მიერ იგივე თანხა აღრიცხულია, როგორც მოთხოვნა.
- სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც დაკავშირებულია ჯანდაცვის პროგრამების ფარგლებში ხარჯის აღიარებასთან, კერძოდ, გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯად აღიარება არ ხდება ინსპექტირების დასრულებამდე და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, რაც იწვევს ოპერაციის ფაქტობრივი განხორციელების და ამ ოპერაციის ასახვის (ხარჯის აღიარების) საანგარიშგებო პერიოდებს შორის აცდენას. მაგალითად, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში 2019 წელს სამედიცინო დაწესებულებების მიერ დაფიქსირებული მიწოდებული მომსახურების ჯამური ღირებულება, რომელთა ინსპექტირებაც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ იყო დასრულებული, შეადგენდა 275,117,677 ლარს, ხოლო რეფერალური მომსახურების პროგრამის ფარგლებში – 7,183,020 ლარს.²⁷

²² ინსტრუქციის მუხლი 191, პუნქტები: 2 და 3.

²³ ინსტრუქციის მუხლი 185, პუნქტი 2.

²⁴ ინსტრუქციის მუხლი 188, პუნქტი 1.

²⁵ ინსტრუქციის მუხლი 24, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ვ“.

²⁶ ინსტრუქციის მუხლი 52.

²⁷ თანხაში შედის ასევე „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამის მე-9 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებიც.

სამედიცინო დაწესებულებებს დაფიქსირებული ჰქონდათ მომსახურება, რომელიც გაწეულია მიმდინარე პერიოდში, ხოლო მისი დაზუსტება, ხარჯად და ვალდებულებებად აღიარება ინსპექტირების შედეგად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, განხორციელდება მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში. აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია არ არის გამჟღავნებული განმარტებით შენიშვნებში.

- ს) ინფორმაცია იმ ძირითადი აქტივების შინაარსისა და დანიშნულების შესახებ, რომლებიც სამინისტროს შეძენილი აქვს დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნული ძირითადი აქტივების საბალანსო ღირებულება შეადგენს 127,719,247 ლარს,²⁸ ხოლო დაუმთავრებელი ძირითადი აქტივებისა – 168,116 ლარს.
- ს) ინფორმაცია 2019 წელს ჩამოწერილი 560,645,083 ლარის მატერიალური მარაგების შესახებ. ინსტრუქციის მიხედვით, ორგანიზაციამ ფინანსური ანგარიშგების ასხნა-განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს იმ მატერიალური მარაგების თვითღირებულება, რომელიც აღიარებულია მოცემული საანგარიშგებო პერიოდის ხარჯებად.²⁹
- ს) ინფორმაცია ისეთი აქტივების შესახებ, რომლებიც პირველადი შეფასებით არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმს, კერძოდ, სააგენტოს ინვენტარიზაციის მუშა-ჯგუფის დასკვნის მიხედვით, ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია ძირითადი აქტივები, არამატერიალური აქტივები, მცირეფასიანი აქტივები, სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც შემდგომი გამოყენებისთვის უვარგისია, ექსპლუატაციის ვადა გასული აქვს ან/და დაზიანებულია, ჯამური ღირებულებით – 1,186,349 ლარი. ცენტრალურ აპარატს კი, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული აქვს 121,285 ლარის მატერიალური მარაგები, რომლებიც სამინისტროს შეფასებით, შემდგომი გამოყენებისთვის გამოუსადეგარია.³⁰
- ს) ინფორმაცია სააგენტოს წინააღმდეგ 62 ფიზიკური პირის სასამართლო დავის შესახებ.

ზემოაღნიშნული საკითხების წარუდგენლობა ზრდის ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მხრიდან, როგორც ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის და საქმიანობის შედეგების, ასევე აქტივების მართვის ხარისხის და რესურსების გამოყენების არასწორი შეფასების რისკს.

1.7 საცნობარო მუხლები

სამინისტროში არ არის შემუშავებული სააღრიცხვო პოლიტიკა შემდეგ საცნობარო მუხლებთან დაკავშირებით:

- ს) ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში;
- ს) ექსპლუატაციაში მყოფი, ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები.

არსებული პრაქტიკით კი, ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები და ექსპლუატაციაში მყოფი, ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები სრულად არ არის გადატანილი საცნობარო მუხლების ანგარიშზე.

²⁸ ცენტრალური აპარატი - 61,911,004 ლარი და დევნილთა სააგენტო - 65,808,243 ლარი.

²⁹ ინსტრუქციის მუხლი 157, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „დ“.

³⁰ ინსტრუქციის მუხლი 17, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „დ“.

არ არის იდენტური ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილი ჯამური და ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საცნობარო მუხლების მონაცემები.

ცენტრალურმა აპარატმა ვერ წარმოადგინა დეტალური ინფორმაცია 5,002,527 ლარის ამორტიზებული ძირითადი აქტივების და 3,811,348 ლარის ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების შესახებ.

1.8 ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება

ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგებაში წარმოდგენილი დამტკიცებული ბიუჯეტი არ არის შესაბამისობაში „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონით დამტკიცებულ პარამეტრებთან, კერძოდ, „ხარჯების“ მუხლში ასახულია 3,977,188,833 ლარი, ნაცვლად – 3,923,665,000 ლარისა, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში – 47,435,000 ლარი, ნაცვლად – 44,735,000 ლარისა.

შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა N5) გაზრდილია „ხარჯების“ მუხლი 53,523,833 ლარით, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი – 2,700,000 ლარით.³¹

აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. ჩვენ ვართ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოსათქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

³¹ ინსტრუქციის მუხლი 38, პუნქტი 5.

2. მნიშვნელოვანი გარემოებები

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ქვემოაღნიშნულ საკითხებთან მიმართებით:

2.1 დებიტორული დავალიანება

ცენტრალურ აპარატს ანგარიშზე – „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით“ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული აქვს 1,053,331 ლარის დავალიანება. დანაკლისის აღდგენისთვის გატარებული ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, კერძოდ, სამართალდამცავ ორგანოებში გადაგზავნილი მასალები და გადაგზავნილ მასალებზე რეაგირების მდგომარეობის ამსახველი ინფორმაცია,³² სამინისტრომ ვერ წარმოადგინა.

2.2 გრძელვადიანი აქტივები

დევნილთა სააგენტოს, სააგენტოს და ცენტრალური აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია 637,176 ლარის³³ ისეთი არამატერიალური აქტივები, რომლებიც პასუხისმგებელი პირის განმარტებით აღარ გამოიყენება და არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ცენტრალურ აპარატს დაუმთავრებელი აქტივების ანგარიშზე აღრიცხული 2013 წლამდე შესყიდული 530,834 ლარის პროექტების სამშენებლო სამუშაოები, რომელიც პასუხისმგებელი პირის განმარტებით, არ განხორციელებულა, არ არის განხილული მათი შემდგომი გამოყენების საკითხი, ხოლო 221,967 ლარის სამშენებლო სამუშაოები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებულია.

დევნილთა სააგენტოს და ცენტრალური აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი აქტივების ანგარიშზე აღრიცხულია 8,962,226 ლარის³⁴ ღირებულების საცხოვრებელი სახლები, რომლებზეც არ წარმოებს სათანადო ანალიზური აღრიცხვა და ვერ დადგინდა აღნიშნულ ნაშთზე კლასიფიკაციის სისწორე. კერძოდ, 7,929,637 ლარის შენობები დაშლილია ბინებად, არ იმიჯნება საკუთების უფლება ფიზიკურ პირსა და სახელმწიფოს შორის, ხოლო დარჩენილ შენობებზე სამინისტრომ საკადასტრო კოდები ვერ წარმოადგინა.

³² 355,345 ლარი.

³³ სააგენტო - 27,771 ლარი, დევნილთა სააგენტო - 22,240 ლარი და ცენტრალური აპარატი - 587,165 ლარი.

³⁴ დევნილთა სააგენტო - 355,887 ლარი და ცენტრალური აპარატი - 8,606,340 ლარი.

3. სხვა გარემოებები

3.1 ინვენტარიზაცია

ინვენტარიზაცია არის კონტროლის მექანიზმი, რომლის მიზანია დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული ან/და გამოუსადეგარი ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების იდენტიფიცირება. შესაბამისად, ინვენტარიზაციის ჩატარება მნიშვნელოვანია იმაში დასარწმუნებლად, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა მუხლი რეალურად არსებობს და ამასთანავე, ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა მუხლი სრულად არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

ცენტრალურ აპარატში არ არის ჩატარებული კანონმდებლობით განსაზღვრული სავალდებულო ინვენტარიზაცია,³⁵ **სააგენტოში** კი სპეცმედიკამენტებისა და ქრონიკული მედიკამენტების ინვენტარიზაცია ჩატარებულია მხოლოდ თბილისში – შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში“, შპს „პსკ ფარმასა“ და შპს „მედიკამენტ პლუსში“, მაშინ როცა მედიკამენტები განთავსებულია მთელი ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა აფთიაქსა და სამედიცინო დაწესებულებაში. სააგენტოს განმარტებით, აღნიშნულის მიზეზია ის, რომ მედიკამენტები განთავსებულია 500-მდე ობიექტში, ინვენტარიზაციისთვის საჭიროა ობიექტების დალუქვა, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს სამედიცინო მომსახურების უწყვეტობის შეფერხება.

სააგენტოში კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად არ არის ჩატარებული მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაცია, არ არის გაფორმებული ურთიერთშედარების აქტები და არ გატარებულია სათანადო ღონისძიებები დავალიანებების რეალურობის დასადგენად. ასევე სააგენტოში 2019 წელს საქართველოს მთავრობის №66 დადგენილებით განსაზღვრული დებიტორული დავალიანების ჩამოწერისას ჩამოსაწერი თანხების დადგენის მიზნით არ შექმნილა საინვენტარიზაციო კომისია და არ ჩატარებულა შერჩევითი ინვენტარიზაცია.³⁶

მოქმედი რეგულაციის მიხედვით, საანგარიშგებო პერიოდში ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ორგანიზაციის ლიკვიდაციისას სალიკვიდაციო ბალანსის შედგენის წინ.³⁷ ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა და სალიკვიდაციო ბალანსი არ შედგენილა **სსიპ – წამლის სააგენტოს** გაუქმების დროს.³⁸

3.2 მონიტორინგი

აუდიტის ფარგლებში მონიტორინგის შეფასებისას გამოვლინდა, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში არ არის ფორმალიზებული რისკების შეფასების საფუძველზე სამედიცინო დაწესებულებების შერჩევის წესი და შერჩევა ხორციელდება ცენტრალიზებულად, უფლებამოსილი პირის მითითებით. 2019 წელს 340-მა სამედიცინო დაწესებულებამ დააფიქსირა 1,499,588 სამედიცინო შემთხვევა, საიდანაც შემოწმებულია 14%, სულ: 216,028 შემთხვევა; მონიტორინგი საერთოდ არ განხორციელებულა 142 სამედიცინო დაწესებულებაში (42%), რომელთაც წლის განმავლობაში დაფიქსირებული ჰქონდათ 156,045 შეტყობინება.

ცხრილი N6. ინფორმაცია რეგიონების მიხედვით განხორციელებული მონიტორინგის რაოდენობების შესახებ

³⁵ მინისტრის ბრძანება N605, მუხლი 1, პუნქტი 4.

³⁶ მინისტრის ბრძანება N605, მუხლი 1, პუნქტი 4.

³⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N605 მუხლი 2, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „გ“.

³⁸ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებაში 2019 წლის 5 ნოემბრის N532 ცვლილება.

რეგიონი	შეტყობინება (1)	ჩატარებული მონიტორინგის რაოდენობა (2)	2/1
კახეთი	76,063	52,279	69%
სამცხე-ჯავახეთი	33,309	32,738	98%
შიდა ქართლი	66,303	28,855	44%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	180,821	28,505	16%
იმერეთი	244,076	21,960	9%
გურია	49,483	17,310	35%
თბილისი	581,752	10,878	2%
ქვემო ქართლი	92,833	10,377	11%
მცხეთა-მთიანეთი	16,911	6,210	37%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	6,387	5,249	82%
აჭარა	151,650	1,667	1%

4. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი – უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაამჟღავნოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკს, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;
- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ

გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე;

- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას;

- ვასკვნით ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით – არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ექვეყნე დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი;

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;

- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე;

- ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორები

ხელმოწერა

მარიამ ჯოლოკავა
წამყვანი აუდიტორი

მ. ჯოლოკავა

ნაია ხოფერია
უფროსი აუდიტორი

ნაია ხოფერია

ნინო კუბლაშვილი
აუდიტორი

ნ. კუბლაშვილი

თამთა მელქაძე
აუდიტორი

თ. მელქაძე

ოთარ მუჩიაშვილი
აუდიტორ-ასისტენტი

ო. მუჩიაშვილი

ნინო გოზალიშვილი
აუდიტორ-ასისტენტი

მარიამ მაღრაძე
ინფორმაციული ტექნოლოგიების
უფროსი აუდიტორი

თამარ ივანიძე
ინფორმაციული ტექნოლოგიების
აუდიტორი

ნ. გოზალიშვილი

მ. მაღრაძე

თ. ივანიძე

ფინანსური ანგარიშგების ფორმები და ახსნა- განმარტებითი შენიშვნები

ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)

	დასახელება	ანგარიში	2019 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წელი)	2018 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წლის წინა წელი)
1	2	3	4	5
010	აქტივები			
020	მოკლევადიანი აქტივები			
030	ფულადი სახსრები	1100-1200	14,475,027	18,059,452
040	სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1300	49,956,370	81,233,950
050	სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1400	84,286,291	112,520,441
060	მოკლევადიანი არაფინანსური აქტივები- მატერიალური მარაგები	1600	41,034,437	666,284,251
070	სულ მოკლევადიანი აქტივები		189,752,126	878,098,094
080	გრძელვადიანი აქტივები			
090	გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	1500	4,844,823	4,849,777
100	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	1,770,836	1,688,894
110	ძირითადი აქტივები	2100	454,609,154	474,320,490
120	ფასეულობები	2300	-	-
130	არაწარმოებული აქტივები	2400	22,945,251	22,904,076
140	საინვესტიციო ქონება	2500	-	-
150	სულ გრძელვადიანი აქტივები		484,170,064	503,763,236
160	ბალანსი		673,922,190	1,381,861,330
170	ვალდებულებები			
180	მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები			
190	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100	43,396	42,196
200	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3200	32,794,373	42,165,941
210	სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები		32,837,768	42,208,137
220	გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3300	2,396,943	2,396,943

230	სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,396,943	2,396,943
240	სულ ვალდებულებები		35,234,711	44,605,080
250	კაპიტალი			
260	აქტივების წმინდა ღირებულება	5100	633,527,296	1,333,538,873
270	გაუნაწილებელი მოგება	5220	5,314,802	3,871,996
280	დაუფარავი ზარალი	5230	154,619	154,619
290	სულ კაპიტალი		638,687,478	1,337,256,250
300	ბალანსი		673,922,190	1,381,861,330

ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში

დასახელება		2019 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წელი)			2018 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წლის წინა წელი)
		საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	
1	2	3	4	5	6
010	ბიუჯეტიდან დაფინანსება	4,055,432,200		4,055,432,200	34,118,291
020	შემოსავლები (030+040+050+060)	97,279,120	2,367,488	99,646,608	2,528,991
030	გადასახადები	-	-	-	
040	სოციალური შენატანები			-	
050	გრანტები	34,686,060	18,340	34,704,400	1,932,167
060	სხვა შემოსავლები (070+080+090+100+110)	62,593,060	2,349,148	64,942,208	596,824
070	ა. შემოსავლები საკუთრებიდან	10,082	140,124	150,206	-
080	ბ. საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1,623,883	2,054,079	3,677,962	9,432
090	გ. სანქციები, ჯარიმები, საურავები	10,737,666	38,290	10,775,956	-
100	დ. ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	50,221,428	116,655	50,338,084	569,739
110	ე. დაზღვევის (სიცოცხლის დაზღვევის გარდა) და სტანდარტული გარანტიის სქემით მიღებული პრემიები, ჩარიცხვები და მოთხოვნები	-	-	-	17,653
120	სულ (010+020)	4,152,711,319.84	2,367,488.13	4,155,078,807.97	36,647,282.00
130	ხარჯები				
140	მომუშავეთა ანაზღაურება	34,288,708	290,436	34,579,144	3,978,824
150	საქონელი და მომსახურება	91,170,922	467,536	91,638,458	3,896,191
160	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	16,525,472	30,725	16,556,197	3,045,348
170	პროცენტი	-	-	-	-
180	სუბსიდიები	9,398,740	-	9,398,740	-

19 0	გრანტები	65,808,522	117,687	65,926,209	17,981,744
20 0	სოციალური უზრუნველყოფა	3,888,208,451	30,547	3,888,238,998	129,889
21 0	სხვა ხარჯები	181,453,571	20,512	181,474,083	15,762,739
22 0	სულ (140+150+160+170+180+190+200+210)	4,286,854,386	957,443	4,287,811,829	44,794,735
				-	
23 0	ფინანსური შედეგი (120-220)	(134,143,066)	1,410,045	(132,733,021)	(8,147,453)

ფორმა N3. ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში

დასახელება		საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	მესამე პირის გადახდები	სულ
1		2	3	4	5
010	წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	(700,011,577)	1,442,805		(698,568,772)
020	კორექტირებები: ¹	748,883,432	8,962	-	748,892,394
030	ცვეთა (+)	16,525,472	30,725		16,556,197
040	აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+) ²	88,675,547	(33,321)		88,642,225
050	მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	625,312,674	(62,859)		625,249,815
060	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები ზრდა/კლება (-/+)	(82,608)	666		(81,942)
070	დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	28,362,082	73,177		28,435,259
080	კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	(9,909,735)	574		(9,909,161)
090	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან ³	48,871,853	1,451,767	-	50,323,621
					-
100	ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან				-
110	არაფინანსური აქტივების გაყიდვა	-	-	-	-
120	ძირითადი აქტივები	-			-
130	ფასეულობები	-			-
140	არაწარმოებული აქტივები	-			-
150	საინვესტიციო ქონება	-			-
160	არაფინანსური აქტივების შესყიდვა	54,030,238	56,334	-	54,086,571
170	ძირითადი აქტივები	54,030,237.8	54,763.6		54,085,001.4

180	ფასულობები	-	-	-
190	არაწარმოებული აქტივები	-	1,570.0	1,570.0
200	საინვესტიციო ქონება			-
210	წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან ⁴	(54,030,237.78)	(56,333.62)	- (54,086,571.40)
220	ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			-
230	წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა	4,954		4,954
240	წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა	1,199		1,199
250	წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან ⁵	6,153	-	- 6,153
260	ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება ⁶	(5,152,232)	1,395,434	- (3,756,798)
270	ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	16,429,146	1,630,299	18,059,452
280	ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	11,449,296	3,025,731	14,475,027
290	ვალუტა და დეპოზიტებით მიღებული კურსთაშორის სხვაობა (-/+)			-
300	დროებით შეზღუდული თანხები (აკრედიტივები)	(172,382)		(172,382)

ფორმა N4. კაპიტალში ცვლილების შესახებ ანგარიში

N	დასახელება	(საანგარიშო წელი)		
		საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ
1	2	3	4	5
010	საწყისი ნაშთი	1,333,538,873	3,871,996.32	1,337,410,869
020	სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები			-
030	წინა პერიოდ(ებ)ის შეცდომები			-
040	გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი (010+020+030)	1,333,538,872.75	3,871,996	1,337,410,869
050	არასაოპერაციო შემოსავლები (060+070)	3,250,388.53	37,398.20	3,287,786.73
060	კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	1,166,910.06		1,166,910.06
070	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	2,083,478.47	37,398.20	2,120,876.67
080	არასაოპერაციო ხარჯები (090+100)	563,610,320.17	3,463.00	563,613,783.17
090	კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	566,474.05		566,474.05
100	სხვა არასაოპერაციო ხარჯები	563,043,846.12	3,463.00	563,047,309.12
110	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები საკასო შესრულებით	5,508,579.23	1,175.00	5,509,754.23
120	საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	(134,143,066.14)	1,410,045.06	(132,733,021.08)
130	ნაშთი წლის ბოლოს (040+050-080-110+120)	633,527,295.74	5,314,801.58	638,842,097.32

ფორმა N5. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიში

დასახელება		ბიუჯეტით დამტკიცებ ული გეგმით	დაზუსტებ ული გეგმით	გადახრა % დაზუსტებ ულ და დამტკიცებ ულ გეგმას შორის	საკასო (ფაქტობრი ვი) ხარჯი	გადახრა % საკასო (ფაქტობრი ვი) ხარჯსა და დაზუსტებ ულ გეგმასა შორის	დარიცხულ ი ხარჯი	გადახრა დარიცხუ ლ და საკასო (ფაქტობ რივ) ხარჯს შორის
1	2	3	4	5	6	7	8	9
01 0	ხარჯები	3,977,188,83 3.00	3,967,480,83 7.00	0%	4,001,401,96 1.92	-1%	4,286,854,38 5.98	-7%
02 0	მათ შორის:							
03 0	შრომის ანაზღაურება	31,186,054.0 0	31,186,054.0 0	0%	34,277,382.0 7	-10%	34,288,707.5 0	0%
04 0	არაფინანსური აქტივების ზრდა	47,435,000.0 0	45,919,163.0 0	-3%	54,030,237.7 8	-18%		100%
05 0	ფინანსური აქტივების ზრდა	-	-	0%	-	0%		0%
06 0	ვალდებულებების კლება	-	-	0%	-	0%		0%

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროს 2019 წლის წლიური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები**

წინამდებარე ახსნა-განმარტებითი შენიშვნების დანიშნულებაა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული იქნეს დამატებითი ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობის შედეგების, აქტივების მართვის, რესურსების განთავსების შესახებ და სხვ.

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოში მოქმედი აღრიცხვა-ანგარიშგების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების საფუძველზე და გამოყენებულია ის სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ნებადართულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. არსებული სააღრიცხვო პოლიტიკა უცვლელად გამოიყენებოდა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (ორგანიზაციული კოდი 2700) წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციას. სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგება მოიცავს სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და აგრეთვე კონტროლირებული ერთეულების ინფორმაციას ფინანსურ მდგომარეობის, ასევე მის საქმიანობას ფინანსურ შედეგებზე, კაპიტალის ცვლილებაზე და ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ კომპონენტს:

- ა) ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას (ბალანსს) - ფორმა N1;
- ბ) ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებას - ფორმა N2;
- გ) ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას - ფორმა N3;
- დ) კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას - ფორმა N4;
- ე) ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგებას - ფორმა N5;
- ვ) განმარტებითი შენიშვნებს.

ფინანსური ანგარიშგებას, ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტების უკეთ გაგების მიზნით, თან ახლავს ანალიზური აღრიცხვის ამსახველი ინფორმაციები დანართების სახით.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო თავისი ძირითადი საქმიანობის უფლებამოსილებებს პროგრამებისა და ქვეპროგრამების

მიხედვით ახორციელებს ცენტრალური აპარატისა და მის სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მეშვეობით. **სამინისტროს კონტროლირებული ერთეულებია:**

1. სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;
2. სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი;
3. სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო;
4. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო;
5. სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“;
6. სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო;
7. სსიპ საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო;

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლირებული ერთეულების ფინანსურ ანგარიშგებებს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

დაფინანსების წყაროები:

სამინისტროს დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება, მიზნობრივი გრანტი და კომერციული საქმიანობა (ზოგიერთი კონტროლირებული ერთეულის საქმიანობის მიხედვით). ხარჯები გაწეულია ასიგნებების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესასრულებლად.

ძირითადი საქმიანობა:

სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელება, კერძოდ: მოსახლეობის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება და საქმიანობის კოორდინაცია, აგრეთვე იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ პირთა - ეკომიგრანტთა, სოციალური დაცვისა და განსახლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

სამინისტროს 2019 წლის 12 თვის დაფინანსების დაზუსტებული გეგმის 4 013 400 000 ლარი ფარგლებში საკასო ხარჯმა შეადგინა 4 055 432 200 ლარი, მათ შორის საკუთარი სახსრებით დაფინანსების ფარგლებში დაზუსტებული გეგმის 1 424 250 ლარი ფარგლებში საკასო ხარჯმა შეადგინა 959 337 ლარი. დაზუსტებულ გეგმასა და საკასო შესრულებას შორის სხვაობა 42 032 200 ლარი გამოწვეულია მიზნობრივი გრანტების ფარგლებში გაწეული საკასო ხარჯების ბიუჯეტის შესრულებაში ასახვით.

აქვე აღვნიშნავ, რომ სამინისტროს მიზნობრივი გრანტის დაფინანსების ფარგლებში სახაზინო სამსახურისა (3 698 112 ლარი) და საბალანსო მონაცემების (3 583 401 ლარი) საწყის ნაშთებს შორის სხვაობა (114 711) გამოწვეულია შემდეგი გარემოებით:

1. სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიზნობრივი გრანტის სასტარტო ნაშთსა და სახაზინო სამსახურის მიზნობრივი გრანტებისა და მიზნობრივი დაფინანსების შესახებ ინფორმაციაში არსებული საწყის ნაშთებს შორის სხვაობა 95 539 ლარი (39 793 ლარი, 55269 ლარი და 50 ლარი) გამოწვეულია 2018 წელს ბიუჯეტში გადარიცხული დღგ-ს 2019 წელში მობრუნებით, რომელიც სახაზინო სამსახურის მიერ აისახა 2019 წლის 1 იანვრისათვის არსებულ ნაშთში.
2. სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიზნობრივი გრანტის ბალანსის სასტარტო ნაშთსა და მიზნობრივი გრანტებისა და მიზნობრივი დაფინანსების შესახებ ინფორმაციაში არსებული საწყის ნაშთებს შორის სხვაობა თანხით 19748 ლარი, გამოწვეულია 2018 წელს საბანკო გრანტის საფუძველზე ავანსად გადარიცხული თანხის 2019 წლის პირველ კვარტალში მობრუნებით, რომელიც სახაზინო სამსახურის მიერ აისახა 2019 წლის დასაწყისში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 10 დეკემბრის #487 დადგენილების შესაბამისად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მის სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ ზოგიერთ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში შესაბამისი ფუნქციებისა და უფლებამოსილებების ოპტიმალური გადანაწილების მიზნით განხორციელდა რიგი ღონისძიებები მათ შორის სტრუქტურული ცვლილებები, კერძოდ:

სსიპ წამლის სააგენტო რეორგანიზაციის გზით შეუერთდა სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს და ჩამოყალიბდა სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო. სსიპ წამლის სააგენტოს აქტივები (მათ შორის სამინისტროს მიერ სსიპ წამლის სააგენტოსთვის

გადაცემული არაფინანსური აქტივები საბალანსო ღირებულებით 30 433 ლარი) გადაეცა სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს.

ამავე დადგენილების საფუძველზე, შეიქმნა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო. სსიპ საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ფუნქციები და უფლებამოსილებები გადაეცა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს. სააგენტოს სრულყოფილი ფუნქციონირების მიზნით, 2019 წლის 13 დეკემბერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის #01-412/ო ბრძანების საფუძველზე შეიქმნა საინვენტარიზაციო კომისია, რომელმაც მოახდინა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბალანსზე რიცხული 2018 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ გადმოცემული აქტივების ინვენტარიზაცია და სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა, საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსთვის გადაცემა. ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგების ასახვა განხორციელდა 2019 წლის 12 თვის ფინანსურ ანგარიშგებაში. აქტივების გადაცემა აისახა ბუღალტრულ აღრიცხვაში სასაქონლო გრანტების მიღებისა და გასვლის შესაბამის ანგარიშგებაზე. სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ სასაქონლო გრანტის სახით გადაეცა 785 881 არაფინანსური აქტივები (ძირითადი საშუალებები და მცირეფასიანი აქტივები) და ასევე ბალანსგარეშე ანგარიშგებაზე რიცხული 1 228 274 ლარის ღირებულების ამორტიზირებული და ექსპლუატაციაში გასული მცირეფასიანი აქტივები.

გარდა ზემოთხსენებულისა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსთვის არაფინანსური და ფინანსური აქტივები და ვალდებულებები გადაეცა განხორციელდა სსიპ საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოდან და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გადაეცა 52 244 439 არაფინანსური აქტივები, 38 124 751 ლარის ღირებულების ფინანსური აქტივები და 687 051 ლარის ვალდებულებები, ხოლო სსიპ საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის მიერ გადაცემულ იქნა 45 098 ლარის ღირებულების აქტივები, 288.85 ლარის ღირებულების ფინანსური აქტივები და 8,010 ლარის ვალდებულებები.

საანგარიშგებო პერიოდში არაფინანსური აქტივების უსასყიდლოდ გადაცემები ასევე განხორციელდა როგორც სამინისტროს მიერ სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, ასევე კონტროლირებულ ერთეულებს შორის. სამინისტროს მიერ კონტროლირებულ ერთეულებში უსასყიდლოდ გადაცემულმა არაფინანსური აქტივების ღირებულებამ შეადგინა 8 221 115 ლარი; მათ შორის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის გადაცემულმა 543 976 ლარი; სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრისთვის გადაცემულმა - 6 490 024 ლარი; სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისთვის 288 083 ლარი; სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოსთვის 82 718 ლარი; სსიპ წამლის სააგენტოსთვის - 30 433 ლარი; სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსთვის - 785 881 ლარი. კონტროლირებული ერთეულებიდან სამინისტროს გადმოეცა 2 265 936 საბალანსო ღირებულების არაფინანსური აქტივები, კერძოდ: სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან 801 670 ლარის ღირებულების არაფინანსური აქტივები; სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან - 45 910 ლარის ღირებულების აქტივები, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოდან 43 746 ლარის ღირებულების არაფინანსური აქტივები, ხოლო სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდიდან 1 374 610 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები. კონსოლიდირებლ ფინანსურ ანგარიშგებაში ამოთიშულია მაკონტროლებელი ერთეულის მიერ თითოეულ კონტროლირებულ ერთეულში და ასევე კონტროლირებულ ერთეულებს შორის გადაცემული აქტივების საბალანსო ღირებულება. გარდა აღნიშნულისა, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გაერთიანებულია მაკონტროლებელი ერთეულისა და მისი კონტროლირებული ერთეულების აქტივების, ვალდებულებების, წმინდა ღირებულების, შემოსავლების, ხარჯების და ფულადი სახსრების ნაკადების შესაბამისი მუხლები.

საანგარიშგებო პერიოდში აქტივების უსასყიდლოდ გადაცემისას სამინისტროს მიერ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის გადაცემული აქტივის ღირებულება შეადგენდა 438 488 ლარს, რომელიც სააგენტოს მიერ ბალანსზე აისახა 442 331 ლარის საბალანსო ღირებულებით, ზემოთხსენებული აქტივი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2019 წლის დეკემბერში გადაცემულ იქნა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსთვის. აღნიშნული სამეურნეო მოვლენა წარმოადგენს ანგარიშგების თარიღის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენას. არასაკმარისი ინფორმაციის გამო საანგარიშგებო პერიოდში ვერ მოხდა აქტივის ღირებულების ცვლილება. აღნიშნული საკითხი შესწავლის პროცესშია სამინისტროს მიერ, შესაბამისი მტკიცებულების მოძიების შემდეგ, სამინისტრო 2020 წლის კონსოლიდირებულ

ფინანსურ ანგარიშგებაში განახორციელებს აქტივის რეალური ღირებულებით ასახვას. გარდა ზემოხსენებული ფაქტისა, დაზუსტებას საჭიროებს სამინისტროს ბალანსზე (დანართი 1) აღრიცხული სატრანსპორტო საშუალებების ღირებულება, რომელიც ბალანსის დანართ 8 ასახული სატრანსპორტო საშუალებების ღირებულებისგან განსხვავდება 11 770 ლარით. აქტივის საბალანსო ღირებულების ზრდა მომდინარეობს 2018 წლიდან. აღნიშნული სამეურნეო მოვლენაც ასევე წარმოადგენს ანგარიშგების თარიღის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენას. არასაკმარისი მტკიცებულებების გამო საანგარიშგებო პერიოდში ვერ მოხერხდა სატრანსპორტო საშუალებების რეალური ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასევე დაზუსტდება 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

არაფინანსური აქტივები:

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი აქტივები შეფასებულია ნარჩენი საბალანსო ღირებულებით; რიგ შემთხვევებში ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულია საწყისი (ისტორიული) ღირებულება და რეალური (გადაფასებული) ღირებულება.

„არაფინანსური აქტივები“-ს მუხლით საანგარიშო პერიოდში საბიუჯეტო სახსრებით გაწეულია 54 030 238 ლარის საკასო ხარჯი. აქედან დევნილთათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობების შეძენაზე 38 353 348 ლარი, ხოლო მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის შეძენაზე 10 503 182 ლარი. არასაბიუჯეტო სახსრებით საკასო ხარჯმა შეადგინა 61 709 ლარი.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება:

ძირითადი კაპიტალზე ცვეთის დრიცხვა განხორციელდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად. სამინისტროს ბალანსზე რიცხული საბიუჯეტო სახსრებით შეძენილ აქტივების 2019 წლის დარიცხულმა ცვეთამ შეადგინა - 16 525 472 ლარი, ხოლო საკუთარი სახსრებით შეძენილ აქტივებზე 30 725 ლარი.

დებიტორული/კრედიტორული დავალიანებები:

საანგარიშო პერიოდის ბოლოს სამინისტროს დებიტორული დავალიანებამ შეადგინა 139 087 485 ლარი, ხოლო კრედიტორული - 35 234 711 ლარი. აქედან, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში წარმოქმნილი დებიტორული დავალიანება შეადგენს 65 290 501 ლარს, ხოლო კრედიტორული დავალიანება - 6 364 269 ლარს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საანგარიშგებო პერიოდში განხორციელდა წინა წლის არაფინანსური მუხლით წარმოშობილი დებიტორული დავალიანების 1 750 200 ლარის გარანტორის მიერ აქტივის მოუწოდებლობის გამო 2018 წელს ავანსად გადარიცხული თანხის ბიუჯეტში დაბრუნება, რამაც გავლენა მოახდინა როგორც ძირითადი აქტივებზე ასევე დებიტორული დავალიანების შორის განხორციელებულ ცვლილებაზე.

ამასთანავე, 2019 წლის ბოლოს ვერ განხორციელდა არამატერიალური აქტივის მოწოდების შესაბამისა გადახდა, რომელიც მიმდინარე პერიოდში აისახა 3220 ანგარიშზე ხოლო სამინისტრო გადახდას განახორციელებ ალბულის ვალდებულების ფარგლებში მომდევნო პერიოდში 121 309,52 ლარი.

საანგარიშგებო პერიოდში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების უზრუნველყოფის მიზნით მიმდინარე პერიოდში განხორციელდა დებიტორული დავალიანებების ცვლილებები, ვინაიდან აღნიშნული მოთხოვნები წარმოადგენდა ლიკვიდირებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებიტორულ დავალიანებებს, რომელთა რეტროსპექტიული გადაანგარიშება ვერ განხორციელდებოდა და მოთხოვნების დაზუსტება მოხდა საანგარიშგებო პერიოდში დარიცხული ჯარიმებით წარმოშობილი მოთხოვნების ანგარიშზე და ავანსად გადარიცხული თანხების შესაბამის ანგარიშებზე. ჯარიმების ოდენობა გაიზარდა 2 733 211 ლარით, ხოლო ავანსად გადარიცხული 468 328 ლარით.

პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები:

პირობითი აქტივები, რომლებიც ძალაში შედის მხოლოდ შეთანხმებული პირობის ან პირობების წარმოქმნისას, უფლებების დადგენით, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომავალ გადაწყვეტილებებზე, აგრეთვე პირობითი ვალდებულებები, რომლებიც ძალაში შედის მხოლოდ შეთანხმებული პირობის ან პირობების წარმოქმნისას; მოვალეობების დადგენით, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომავალ გადაწყვეტილებებზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია.

ბიუჯეტის და ფაქტიური თანხების შედარება.

საანგარიშო პერიოდში ხარჯები გაწეულია ასიგნებების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესასრულებლად. დამტკიცებულმა ბიუჯეტმა შეადგინა **4 024 623 833** ლარი, ხოლო დაზუსტებულმა **4 013 400 000** ლარი.

2019 წლის 12 თვის პერიოდში, ფინანსური ანგარიშგების დანართი #2 „ორგანიზაციის ანგარიში შემოსავლების და ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, სამინისტროს მიერ საბიუჯეტო სახსრებით გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა **4 001 401 962** ლარი, ხოლო ფაქტობრივმა ხარჯებმა **4 286 854 386** ლარი. ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის გადახრა **285 452 424** ლარი, ხოლო არასაბიუჯეტო სახსრებით საკასო ხარჯმა შეადგინა **897 628** ლარი, ფაქტობრივმა ხარჯმა - **957 443** ლარი, გადახრამ - **59 815** ლარი. საკასო და ფაქტობრივ ხარჯებს შორის გადახრა ძირითადად გამოწვეულია ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის არსებული სხვაობით, კერძოდ: „საქონელი და მომსახურების მუხლებში“ დარიცხული ხარჯის მეტობა საკასო ხარჯთან გამოწვეულია საწყობში არსებული მარაგების ხარჯვით და საანგარიშო პერიოდში წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებებით.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის გადახრა გამოწვეულია სხვადასხვა კლინიკების მიერ გაწეული მომსახურების აღიარებით, რომელთა ანაზღაურება განხორციელდება მომდევნო საანგარიშო პერიოდის განმავლობაში; გარდა აღნიშნულისა უსასყიდლოდ მიღებული მედიკამენტების ამავე ჯანდაცვის პროგრამებში ჩართულ ბენეფიციარებზე უსასყიდლოდ გადაცემით. სახელმწიფო პროგრამებიდან სამედიცინო კლასიფიკაციის შეძენილი სამედიცინო დანიშნულების სახარჯი მასალების (ვაქცინები, შპრიცები, უსაფრხო ყუთები, რეაგენტები) გადაცემა სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სამედიცინო ორგანიზაციებზე იურიდიული სტატუსის გათვალისწინებით, სახელმწიფო ორგანიზაციებსა და მუნიციპალურ ცენტრებზე გრანტის, ხოლო კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე სხვა ხარჯის მუხლით.

სხვადასხვა ხარჯების „მიმდინარე ხარჯების“ მუხლით ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის გადახრა გამოწვეულია ბ.მ. ამხანაგობების თანადაფინანსებისათვის წარმოქმნილი ვალდებულების აღიარებით, ხოლო სხვადასხვა ხარჯების „კაპიტალური ხარჯების“ მუხლით ავანსად გადარიცხული მოთხოვნების დაფარვით და სხვადასხვა ხარჯების „მიმდინარე ხარჯების“ მუხლით წარმოქმნილი ვალდებულების აღიარებით და ასევე ამავე მუხლში წარმოშობილი დებიტორული დავალიანებების დაფარვით.

გრანტების საკასო და ფაქტობრივ ხარჯებს შორის სხვაობა გამოწვეულია სახელმწიფო ერთეულებზე და გადაცემული არაფინანსური აქტივებით.

საანგარიშო პერიოდში სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით ფინანსური უზრუნველყოფის ხაზინის მიერ მოწოდებული ინფორმაციით შეადგენს 40 122 ლარს, სამინისტროს მიერ აღიცხვამი ასახულია 39 691 ლარი. სამინისტროს მიერ 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში 431 ლარი აღრიცხვა ვერ აისახა შესაბამისი დოკუმენტის არ არსებობის გამო.

სამინისტროს საბალანსო მონაცემებით „გრძელვადიანი საბიუჯეტო სესხები“-ს #1511 ანგარიშზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის #309 განკარგულების საფუძველზე გაცემული აქვს გრძელვადიანი საბიუჯეტო სესხები. 2019 წლის დასაწყისში სესხის ოდენობა შეადგენდა 4 849 777 ლარს. საიდანაც საანგარიშგებო პერიოდში ბიუჯეტში დაბრუნებულ იქნა 4 953 ლარი. 2019 წლის ბოლოს მოთხოვნამ „გრძელვადიანი საბიუჯეტო სესხებით“ შეადგინა 4 844 824 ლარი. დაბრუნებული სესხი 4 953 ლარი ასახულია საბალანსო ფორმების დანართ #4 „ფინანსური აქტივების კლება“-ში და ფორმა #3.

ბალანსის ფორმა #3-ში გამოწვეული სხვაობა 172 382 ლარის ოდენობით წარმოადგენს სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებულ ოპერაციების შედეგად გამოწვეულ სხვაობას, მათ შორის: 190 514 ლარი წარმოადგენს არაფინანსური აქტივებით წარმოშობილი დებიტორული დავალიანების გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ მოწოდებულ აქტივების ღირებულებასა და ამავე მუხლით სახელმწიფო ხაზინაში დაბრუნებულ თანხას შორის სხვაობას; ასევე 10 532 ლარი წარმოადგენს არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებების საწყისი ნაშთს, რომელიც გადაკლასიფიცირდა და ანაზღაურდა პერიოდის განმავლობაში ხარჯების კლასიფიკაციის მუხლით; 1 920 ლარი წარმოადგენს წინასწარი გადახდებით მოთხოვნას, რომელიც წარმოშობილი იყო საქონლის და მომსახურების მუხლით და ირიცხებოდა 2019 წლის საწყისი ნაშთად, საანგარიშგებო პერიოდში მიღებულ იქნა არაფინანსური აქტივი; 6 406 ლარი წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდში მიღებული არაფინანსური აქტივის ღირებულებასა და გადახდილ თანხას შორის საკურსო სხვაობას; 726 ლარი წარმოადგენს „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე“ წინასწარი გადახდების საწყისი ნაშთში ასახული დღგ-ს თანხა, რომელიც არ აისახება არაფინანსური აქტივის ღირებულებაში.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ოქტომბრის #1830 განკარგულებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მართვის უფლებით გადმოეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“. 2019 წლის საანგარიშგებო პერიოდში ცენტრის მიერ წარმოდგენილი ბალანსის მიხედვით საქმიანობის შედეგს წარმოადგენს

შემდეგი ფინანსური მონაცემები: 2019 წლის დასაწყისში შპს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი-ს კაპიტალი შეადგენდა 36 247 146 ლარს, საანგარიშგებო პერიოდში განხორციელდა ცენტრის კაპიტალის ზრდა რის მიხედვითაც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ცენტრის კაპიტალმა შეადგინა 37 418 531 ლარი. საანგარიშგებო პერიოდის შემოსავალმა შეადგინა - 12 883 964 ლარი, მათ შორის საოპერაციო შემოსავალმა - 10 264 647 ლარი, ხოლო არასაოპერაციო შემოსავალმა შეადგინა ხარჯებმა - 2 619 317 ლარი. 2019 წლის ცენტრის მთლიანი დანახარჯები შეადგენდა 12 779 568 ლარს, ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი - 2 133 276 ლარს. შპს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრმა საანგარიშგებო პერიოდი ბოლოს წმინდა მოგებას ცენტრის მუდმივი საქმიანობიდან შეადგენდა 104 397 ლარს. გარდა აღნიშნულისა შპს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის კაპიტალის გაზრდის მიზნით სამინისტროს მიერ ცენტრს გადაეცა არაფინანსური აქტივები საბალანსო ღირებულებით - 897 027 ლარი.

კონსოლიდირებული ერთეულები

- 2019 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონსოლიდირებულია შემდეგი კომპონენტების ფინანსური ანგარიშგებები:
- / საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი.
 - / სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო.
 - / სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.
 - / სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი.
 - / სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების ფონდი.
 - / სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო.
 - / სსიპ – საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო.
 - / სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო.
 - / სსიპ – ახალგორის ბავშვთა საადმინისტრაციო დაწესებულება.
 - / სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო.
 - / სსიპ – წამლის სააგენტო.

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38